

საქართველოს ბიზნესის აკადემია -SBA
2015-2016 წლების
სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

აქტივობა	01
შინაარსი	შესაძლებლობის ფარგლებში ბაზრის კვლევა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების მიზნით
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი, ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრი-BCC
სავარაუდო ვადა	ოქტომბერი
მონიტორინგი	იდენტიფიცირებულია ყველაზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამები, ჩატრებულია კვლევები და არსებობს სათანადო მასალები
შედეგი	აკადემიის ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრმა-BCC ჩაატარა ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ პირთა მიხედვით კვლევა მოთხოვნადი აკადემიური პროგრამების თაობაზე და იდენტიფიცირებულ იქნა სამართლის მიმართულება. ვინაიდან, ჩვენი პროფილი არის ბიზნესის ადმინისტრირება, აქცენტი გაკეთდა ბიზნესის სამართლის დამატებითი პროგრამის შემუშავების თაობაზე. თუმცა ადამიანური რესურსის მოძიებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მიმდინარე წელს შეჩერდა მუშაობა. აკადემიის სტუდენტთა მიერ მოთხოვნილ იქნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ დამატებითი სპეციალობის პროგრამა. ამასთან, სტუდენტთა ჯგუფების მიერ განხორციელდა აბიტურიენტთა და მოსწავლეთა გამოკითხვები მოთხოვნადი სპეციალობების თაობაზე. გამოკითხვა დასრულებულია, თუმცა ანგარიში ჯერ შემუშავებული არ არის.

აქტივობა	02
შინაარსი	ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესის კოორდინაცია
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი, საფინანსო სამსახური, ბიბლიოთეკა
სავარაუდო ვადა	იანვარი, მაისი
მონიტორინგი	შედგენილია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები
შედეგი	პარტნიორ დაწესებულებასთან, PR აკადემიასთან ერთობლივად მიმდინარეობს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე მუშაობა აქტიურ ფაზაშია. უკვე განხორციელებულია პროგრამის პროექტის პირველი ვერსიის განხილვა-ანალიზი. სულ წარმოდგენილი იყო 8 სასწავლო კურსის სილაბუსი. აქედან ორი სასწავლო კურსი გაუქმდა, სამუშაო პროცესში გამოიკვეთა ახალი სასწავლო კურსების შექმნის აუცილებლობა, როგორცაა: კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობა, კრეატიული აზროვნება, ციფრული მედია, ღონისძიებების დაგეგმვა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები, ბრენდის რეპუტაცია. პროგრამაზე მუშაობის პროცესში გაკეთდა საბიბლიოთეკო ფონდისა და ადამიანური რესურსის ანალიზი შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს ჩართულობით. პროგრამაზე მუშაობა მიმდინარეობს.

აქტივობა	03
----------	----

შინაარსი	ტრეინინგებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი, საფინანსო სამსახური, ბიბლიოთეკა
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	საზოგადოების მოთხოვნის გათვალისწინებით შედგენილია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები
შედეგი	<i>შემუშავებულია ოფისის მენეჯერის, ბუღალტერი, სადაზღვეო აგენტის, ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის, მცირე ბიზნესის მწარმოებლის, ელექტრონული ბუღალტერი და ბანკის მოღვაწის მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები შრომისა და ჯანდაცვის სამინისტროს პროექტის ფარგლებში. შვიდივე პროგრამაზე წარმატებით განხორციელდა სასწავლო პროცესი.</i>

აქტივობა	04
შინაარსი	პროფორიენტაციის ღონისძიებათა განხორციელება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	დირექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	პროფორიენტაცია სკოლებში, სკოლის მოსწავლეთა მოწვევა;
შედეგი	<i>აღნიშნული ღონისძიება განხორციელდა მარტსა და თებერვალში. აკადემიაში აბიტურიენტებს ჩაუტარდათ იმიტირებული ერთიანი გამოცდები, რომლის დასრულების შემდეგ მათ გავაცანით SBA-ს საგანმანათლებლო პროგრამები და მივაწოდეთ ინფორმაცია იმ შესაძლებლობების შესახებ, რომელიც მათ ექნებათ აკადემიაში სწავლის დროს. ასევე, აუდიტორია აღიჭურვა სათანადო საინფორმაციო საშუალებებით, სადაც დაინტერესებულ პირებს გაეცნოთ ამა თუ იმ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც დაეხმარა მათ საკუთარი პროფესიის შერჩევასა და კარიერული წინსვლის დაგეგმვაში</i>

აქტივობა	05
შინაარსი	განათლების ინტერნაციონალიზაციის ღონისძიებათა განხორციელება (უცხოელ სტუდენტთა და პედაგოგთა მოზიდვა სასწავლებლად)
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	რექტორი, დირექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	უცხოელი სტუდენტები სწავლობენ/დაამთავრეს აკადემია, მოწვეული უცხოელი სპეციალისტები
შედეგი	<i>აღნიშნული ღონისძიება განხორციელდა, გაფორმდა დამატებით ორ აგენტთან ხელშეკრულება, სტუდენტთა მოზიდვის თაობაზე.</i>

აქტივობა	06
შინაარსი	პროფესორ-მასწავლებლებისათვის ტრეინინგების მოწყობა შეფასების ინტერუმენტების შემუშავების შესახებ
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური
სავარაუდო ვადა	დეკემბერი

მონიტორინგი	განხორციელებული ტრენინგის მასალები
შედეგი	ტრენინგი აკადემიის მიერ განხორციელდა თებერვლის თვეში. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 28 პირმა. ტრენინგის ეფექტურობის შეფასებისა და უკუკავშირის მიზნით განხორციელებული გამოკითხვის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები: — მოდულური პროგრამის განხორციელების მეთოდები — სასწავლო პროცესის დაგეგმვა — კონკრეტული მოდულების ინდივიდუალურად განხილვა — სწავლების მეთოდები ამასთან, მიმართებით აღსანიშნავია, რომ კონკრეტული მოდულებისა და მოდულური პროგრამის განხორციელების მეთოდების განხილვა ხორციელდება მასწავლებლებთან სწავლისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ.

აქტივობა	07
შინაარსი	სტუდენტთა მიღწევების შეფასების მეთოდების დახვეწა და საჭიროების შემთხვევაში მათი სწავლების პროცესში ჩართვისა და დახმარების ორგანიზება, შეფასების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ხარისისა და რელევანტურობის შემოწმება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი, ხარისხის მართვის სამსახური
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	სტუდენტთა მიღწევების შეფასების ადეკვატური მეთოდები და ფორმები, სწავლების პროცესში ჩართული სტუდენტები, დახმარებისა და კონსულტაციების მიღების მექანიზმები
შედეგი	ხარისხის სამსახური მიერ სისტემატურად მიმდინარეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, მისი ანალიზი, კორექტირება, მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში სულ შემოწმებული იქნა 107 ტესტი, მოდულური პროგრამის 66 შეფასების ინსტრუმენტი.

აქტივობა	08
შინაარსი	სემინარის ჩატარება თემაზე: „ქვეწარმავლებისა და მწერებისაგან თავდაცვა, დაკბენის შემთხვევაში პირველადი დახმარება“
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	სამედიცინო სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	მაისი
მონიტორინგი	ჩატარებულია სემინარი, ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე, არსებობს სემინარის მასალები და ფოტოები
შედეგი	სემინარი ჩატარდა მწლის 17 მაისს პირველადი დახმარება მწერებისა და ქვეწარმავლების კბენის შემთხვევაში" ლექცია გაცნობითი ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა სტუდენტებისათვის ქვეწარმავლებისა და მწერებისაგან თავდაცვის ზოგადი რჩევების მიწოდებას

აქტივობა	09
შინაარსი	სამეცნიერო კონფერენციის მოწყობა
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	რექტორი, საორგანიზაციო კომიტეტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	15 მაისი
მონიტორინგი	კონფერენციის ბროშურა, ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე
შედეგი	სამეცნიერო კონფერენცია მოეწყო მიმდინარე წლის 19-20 მაისს, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 41-მა პირმა. გამოცემულია შრომების

	კრებული
აქტივობა	10
შინაარსი	აქტიური ჩართულობა ქვეყნაში პროფესიული და უმაღლესი განათლების პოლიტიკის ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელებაში.
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	რექტორი, დირექტორი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	აკადემია ჩართულია ქვეყნაში პროფესიული განათლების სტრატეგიის შემუშავებაში და განათლების პოლიტიკის ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელებაში
შედეგი	<i>აკადემიის ჰერსონალი რექტორი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტისა და პროფესიული განათლების დეპარტამენტის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ფარგლებში. საზეზო მათი ფასილიტაციის შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები, პროგრამები და საგანმანათლებლო რესურსები.</i>

აქტივობა	11
შინაარსი	სემინარის ჩატარება თემაზე: „გრიპი, ზოგადი მიმოხილვა, ინფორმაცია გრიპის ვირუსის შესახებ, გართულების თავიდან აცილება“
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	სამედიცინო სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	ნოემბერი
მონიტორინგი	ჩატარებულია სემინარი, ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე, არსებობს სემინარის მასალები და ფოტოები
შედეგი	<i>სემინარი ჩატარდა 2015 წლის 30 ნოემბერს. სემინარი ჩატარდა აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, აკადემიის სამედიცინო სამსახურისა და პარტნიორი ორგანიზაცია „მედისის“ ჩართულობით.</i>

აქტივობა	12
შინაარსი	პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაფართოება, მათი საჭიროების განსაზღვრა, პროგრამების შეფასებაში ჩართვა და ამ მიზნით შეხვედრების ორგანიზება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	რექტორი, დირექტორი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი. ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრი-BCC
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	აკადემიაში არსებული ძირითადი და დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასებულია პოტენციური დამსაქმებლის მიერ, გათვალისწინებულია მათი საჭიროებები და დანერგილია მათთან კომუნიკაციის ეფექტიანი სისტემა
შედეგი	<i>ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობა არ დასრულებულა მიმდინარე პერიოდი, პოტენციურ დამსაქმებლებთან მუშაობა ჯერ არ დაწყებულა ამ მიმართულებით</i>

აქტივობა	13
----------	----

შინაარსი	სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის გაფართოება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ადმინისტრაცია, თვითმმართველობის პრეზიდენტი
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	არსებობს თვითმმართველობის საქმიანობის წლიური გეგმა და შესრულებული სამუშაოების ანგარიში. ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე.
შედეგი	<i>ჩატარდა თვითმმართველობის არჩევნები, არჩეულ იქნა შესაბამისი მიმართულების დელეგატები და სახეზე წლიური გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები</i>

აქტივობა	14
შინაარსი	კურსდამთავრებულებთან ეფექტური კომუნიკაციის ღონისძიებათა შემუშავება, კურსდამთავრებულთა მიღწევებისა და კონკურენტუნარიანობის შემოწმება და ანალიზი
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	დირექტორი
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	არსებობს ღონისძიებათა გეგმა, მათი განხორციელების ანგარიში
შედეგი	<i>აღნიშნული მიმართულებით არსებობს კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და მიმდინარეობს მათი ანალიზი და სამოქმედო გეგმის შემუშავება</i>

აქტივობა	15
შინაარსი	პოტენციურ დამსაქმებლებთან და პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობის გაფართოება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	დირექტორი
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	დადებულია თანამშრომლობის მემორანდუმები და პრაქტიკების გავლის ან სტაჟირების ხელშეკრულებები
შედეგი	<i>მიმდინარე პერიოდში დადებულია თანამშრომლობის მემორანდუმი 2 პოტენციურ დამსაქმებლებთან და 2 პროფესიულ ასოციაციასთან</i>

აქტივობა	16
შინაარსი	თანამშრომლობის გაღრმავება უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	რექტორი, დირექტორი
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
შედეგი	<i>მიმდინარე პერიოდში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უცხოეთის 5 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ამასთან აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობა ითვალისწინებს გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას.</i>

აქტივობა	17
----------	----

შინაარსი	საგამომცემლო საქმიანობის გააქტიურება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	რექტორი, ბიბლიოთეკა
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	სახეზეა აკადემიის სახელით გამოცემული სახელმძღვანელოები
შედეგი	<i>მიმდინარე პერიოდში აკადემიის სახელით არ გამოცემულა სახელმძღვანელოები</i>

აქტივობა	18
შინაარსი	სტუდენტებისათვის შეღავათების, დახმარებების, სტიპენდიების, ბონუს პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	დირექტორი
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	სახეზეა განხორციელებული პროექტი
შედეგი	<i>2015-2016 სასწავლო წლებში 4 საბაკალავრო და 10 პროფესიულ სტუდენტს გაეწია სტუდენტური შეღავათი, რაც ჯამში შეადგენს 11 390 ლარს.</i>

აქტივობა	19
შინაარსი	მინიმუმ ერთი დარგობრივი კაბინეტის მოწყობა
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	დირექტორი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, საფინანსო სამსახური
სავარაუდო ვადა	აგვისტო
მონიტორინგი	მომზადებულია მინიმუმ ერთი დარგობრივი კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და თვალსაჩინოებებით
შედეგი	<i>მიმდინარე პერიოდში არ განხორციელებულა დამატებითი დარგობრივი კაბინეტების მოწყობა</i>

აქტივობა	20
შინაარსი	ბიბლიოთეკის ფონდის სისტემატური განახლება და შევსება. ბიბლიოთეკის გაწევრიანება შესაბამის დარგობრივ კავშირებში.
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ბიბლიოთეკარი
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	განახლებულია საბოლოო ფონდი. ბიბლიოთეკა გაწევრიანებულია დარგობრივ კავშირ(ებ)ში
შედეგი	– 2015 წლის 10 სექტემბრის მონაცემებით ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობა შემდეგნაირად შედგება სახით: ქართულ ენოვანი – K 1584 ინგლისურ ენოვანი – E 355 რუსულ ენოვანი – R 124 ელექტრონული – CD 456 პერიოდიკა – P 24 აზარბაიჯანული – A 39 დღეს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობა გვაქვს გაზრდილი სახით : ქართულ ენოვანი – K 1656 (72) ინგლისურ ენოვანი – E 526 (171) რუსულ ენოვანი – R 148 (24) ელექტრონული – CD 465 (9) პერიოდიკა – P 24

	<i>აზარბაიჯანული – A 39</i> <i>შეიქმნა წიგნების კსეროასლები – 15 წიგნი</i> <i>ელექტრონული ვერსია – CD 5</i>	<i>სულ : 276</i>
--	--	------------------

აქტივობა	21
შინაარსი	ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	სამედიცინო სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	ჩატარებულია პერსონალის და სტუდენტთა ლექცია, ღია ცის ქვეშ ღონისძიებაჯანსაღი ცხოვრების წესზე
შედეგი	აღნიშნული ღონისძიება არ განხორციელებულა

აქტივობა	22
შინაარსი	პერსონალის შრომითი მიღწევების ხელშეწყობა, აღიარება და დაფასება.
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	დირექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	პერსონალის შრომითი მიღწევების ხელშეწყობა, აღიარება და დაფასება
შედეგი	აღნიშნული მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს და ჯერ არ დასრულებულა

აქტივობა	23
შინაარსი	ინვესტორის მოძიება სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მოდერნიზებისათვის
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	დირექტორი
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ფუნქციონირებს
შედეგი	მოლაპარაკებები მიმდინარეობს ინვესტორებთან

აქტივობა	24
შინაარსი	სასწავლო აუდიტორიების დამატებით აღჭურვა სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	დირექტორი
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	საჭიროების მიხედვით შეძენილია სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებები
შედეგი	

აქტივობა	25
შინაარსი	პროფესიული განათლების მასწავლებელთა და აკადემიური პერსონალის სასწავლო მეთოდური მუშაობის ხარისხის შემოწმება და ანალიზი
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

სავარაუდო ვადა	2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში
მონიტორინგი	დასწრების გეგმა-გრაფიკი, შემოწმების აქტები, შემაჯამებელი ანგარიში
შედეგი	<i>განხორციელდა გამოკითხვა, გამოკითხვის ანალიზი. ასევე, მოდულური პროგრამის ფარგლებში განხორციელდა წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად მეცადინეობებზე დასწრება-შეფასება-ანალიზი.</i>

აქტივობა	26
შინაარსი	აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხისა და აქტუალობის შემოწმება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
სავარაუდო ვადა	2015-2016 წლის განმავლობაში
მონიტორინგი	შემოწმების დოკუმენტები/შემაჯამებელი ანგარიში
შედეგი	<i>შემუშავებული კითხვარების საფუძველზე ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა-ანალიზი. ასევე, იხ. პ. 25</i>

აქტივობა	27
შინაარსი	სტუდენტთა მიღწევების ხარისხის შემოწმება და ანალიზი
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
სავარაუდო ვადა	2015-2016 წლის განმავლობაში
მონიტორინგი	შემოწმების დოკუმენტები/შემაჯამებელი ანგარიში
შედეგი	<i>იხ. პ. 07</i>

აქტივობა	28
შინაარსი	პროცესული მიდგომის დანერგვა, პროცესების შესწავლა/ანალიზი, ინდიკატორებისა და ხარისხის მაჩვენებლების განსაზღვრა
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური
სავარაუდო ვადა	2015-2016 წლის განმავლობაში
მონიტორინგი	დადგენილი და დანერგილი ხარისხის სტანდარტები/შემაჯამებელი ანგარიში
შედეგი	<i>EFQM-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა პროცესების რუკა. განსაზღვრული იქნა ძირითადი და დამხმარე პროცესები, პროცესებზე პასუხისმგებელი პირები, არსებული პროცესების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტების ძირითად მოთხოვნებთან.</i>

აქტივობა	29
შინაარსი	EFQM- თვითშეფასება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური
სავარაუდო ვადა	2015 დეკემბერი
მონიტორინგი	თვითშეფასების დოკუმენტები
შედეგი	<i>განხორციელდა 2016 წლის აპრილის თვეში, რომელშიც ჩართულები იყვნენ საერთაშორისო ექსპერტი ს. კალდშიდტი და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვალიდატორები.</i>

აქტივობა	30
შინაარსი	აკადემიის მოქმედი დოკუმენტებისა და პროცედურების

	აქტუალობის მონიტორინგი და კოორდინაცია
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური, ადმინისტრაცია
სავარაუდო ვადა	2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში
მონიტორინგი	მოდულიზებული და აქტუალიზებული დოკუმენტები/შემამაჯამებელი ანგარიში
შედეგი	<i>აღნიშნული აქტივობა მიმდინარე პერიოდში არ განხორციელებულა. თუმცა ის გათვალისწინებული იქნება EFQM-ის მომდევნო პროექტებში</i>

აქტივობა	31
შინაარსი	ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გეგმური თვითშეფასება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
სავარაუდო ვადა	2016 ივნისი
მონიტორინგი	თვითშეფასების დოკუმენტები
შედეგი	<i>2016 წლის მაისისა და ივნისის თვეებში განხორციელდა აკადემიის თვითშეფასება. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გეგმური თვითშეფასების კითხვარების წარდგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.</i>

აქტივობა	32
შინაარსი	Listening Competition
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ენების სკოლის დირექტორი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი
სავარაუდო ვადა	დეკემბერი
მონიტორინგი	ჩატარებულია ღონისძიება, გამოვლენილია გამარჯვებული პირი, არსებობს ფოტო მასალა და სათანადო ინფორმაცია
შედეგი	<i>აღნიშნული აქტივობა მიმდინარე პერიოდში არ განხორციელებულა.</i>

აქტივობა	33
შინაარსი	ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? ინგლისურ ენაზე
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ენების სკოლის დირექტორი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი
სავარაუდო ვადა	2016 წლის თებერვალი, ივლისი
მონიტორინგი	ჩატარებულია ღონისძიება, გამოვლენილია გამარჯვებული პირი, არსებობს ფოტო მასალა და სათანადო ინფორმაცია
შედეგი	<i>ინტელექტუალური თამაში ჩატარდა აპრილის თვეში, თამაში მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე, აკადემიის ენების ცენტრის დირექტორის ორგანიზებით, აღნიშნულ თამაშში სამმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი -Enterprise, რომლის წევრებიც უფასოდ ისწავლიან ოთხთვიან სასერთიფიკატო პროგრამაზე ინგლისურ ენაში.</i>

აქტივობა	34
შინაარსი	საშაბათო სკოლის ჩამოყალიბება ინგლისურ ენაში სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ენების სკოლის დირექტორი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი
სავარაუდო ვადა	2016 წლის განმავლობაში
მონიტორინგი	შექმნილია საშაბათო სკოლა, შერჩეულია სახელი, ჩატარებულია

	მინიმუმ ერთი პროექტი, არსებობს ფოტო მასალა და სათანადო ინფორმაცია
<i>შედეგი</i>	<i>აღნიშნული აქტივობა მიმდინარე პერიოდში არ განხორციელებულა.</i>

აქტივობა	35
შინაარსი	ეროვნული გამოცდების იმიტაცია ინგლისურ ენაში
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ენების სკოლის დირექტორი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი
სავარაუდო ვადა	2016 წლის განმავლობაში
მონიტორინგი	ჩატარებულია გამოცდა, გამოვლენილია გამარჯვებული პირები, არსებობს ფოტო მასალა და სათანადო ინფორმაცია
<i>შედეგი</i>	<i>ეროვნული გამოცდების იმიტაცია ინგლისურ ენაში ჩატარდა აპრილის თვეში. გამოცდებში მონაწილეობას იღებდა 189 აბიტურიენტი, აქედან 11 მიიღო SBA-მიერ დაწესებული 30% სასწავლო გრანტი, 9 მათგანმა 20 % გრანტი.</i>

აქტივობა	36
შინაარსი	აკადემიის სტუდენტებს შორის ტექსტურ რედაქტორში ბეჭდვის კონკურსის მოწყობა
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლის ხელმძღვანელი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი,
სავარაუდო ვადა	მარტი, 2016 წელი
მონიტორინგი	იდენტიფიცირებულია კონკურსის ჩატარებისთვის საჭირო მასალები, საკონკურსო წესები და პირობები. საუკეთესო მონაწილის გამოსავლენად შექმნილია საკონკურსო კომისია, ჩატარებულია ღონისძიება
<i>შედეგი</i>	<i>აღნიშნული აქტივობა მიმდინარე პერიოდში არ განხორციელებულა.</i>

აქტივობა	37
შინაარსი	სემინარი თემაზე „ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლება“
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლის ხელმძღვანელი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი, საფინანსო სამსახური
სავარაუდო ვადა	მაისი, 2016
მონიტორინგი	შედგენილია შესაბამისი სამოქმედო პროგრამა და იდენტიფიცირებულია მონაწილეები, ჩატარებულია სემინარი და არსებობს შესაბამისი მასალა
<i>შედეგი</i>	<i>აღნიშნული აქტივობა მიმდინარე პერიოდში არ განხორციელებულა.</i>

აქტივობა	38
შინაარსი	ყოველთვიური ფაკულტატიური ლექციები, საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლის ხელმძღვანელი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, პროფესიული განათლების დეპარტამენტი.
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	სტუდენტებში დამატებითი მეცადინეობების საჭიროების დადგენა და ფაკულტატიური ლექციების ორგანიზება.

შედეგი	აღნიშნული აქტივობა მიმდინარე პერიოდში არ განხორციელებულა.
აქტივობა	39
შინაარსი	სტუდენტების დაჯგუფება აქტივობების მიხედვით
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	ნოემბრის დასაწყისი
მონიტორინგი	სტუდენტები ჩართულნი არიან მუშაობის პროცესში, იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.
შედეგი	<i>სტუდენტთა დაჯგუფება აქტივობების მიხედვით განხორციელდა. (საახალწლო კარნავალი; დედაენის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი მარნეულში.)</i>

აქტივობა	40
შინაარსი	საჯარო ლექციებისა და ტრენინგების ჩატარება (SBA-ს სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის)
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში, არანაკლებ 3 ჯერ
მონიტორინგი	არსებობს ფოტო-ვიდეო მასალა, ინფორმაცია მიწოდებულია შესაბამის სემინტთან, ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში
შედეგი	<i>ჩატარდა ტრენინგები : „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროგრამებში.“ „როგორ დავიწყო სამსახური და გავხდე რიგითი თანამშრომლიდან-მადლანა ზღაურებადი კადრი.“ „ბიზნესთან დაკავშირებული გადასახადები.“ „სიმდიდრის ფსიქოლოგია“</i>

აქტივობა	41
შინაარსი	აბიტურიენტების გამოკითხვა SBA-სთან არსებული საკონსულტაციო ცენტრის ფარგლებში
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	ნოემბერი, დეკემბერი.
მონიტორინგი	არსებობს კვლევის შედეგები, სტრატეგიების განსაზღვრისთვის, მოპოვებულია აბიტურიენტების საკონტაქტო ინფორმაციები, რომლის გამოყენებაც ხდება შემდგომი ინფორმაციის მიწოდებისთვის.
შედეგი	<i>კვლევა ჩატარებულია, მონაცემები დამუშავებულია</i>

აქტივობა	42
შინაარსი	ინტელექტუალური თამაშის ჩატარება სტუდენტებისა და აბიტურიენტებისთვის
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	დეკემბერი, თებერვალი, აპრილი

მონიტორინგი	შექმნილია გუნდები, ინფორმაცია მიწოდებულია შესაბამის სეგმენტთან, არსებობს ფოტო-ვიდეო მასალა, რომელიც განთავსებულია სასწავლებლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში
შედეგი	<i>ჩატარდა ინტელექტუალური თამაში: „ბიზნეს რა? სად? როდის? თბილისის საჯარო სკოლებში, გამოვლინდა გამარჯვებული გუნდები და გადაეცათ შესაბამისი პრიზები</i>

აქტივობა	43
შინაარსი	სასწავლო პროცესების მიმდინარეობის გადაღება და განთავსება სასწავლებლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში.
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	წლის განმავლობაში
მონიტორინგი	სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას საინტერესო მასალები შეგროვებულია და განთავსებულია ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში, რათა საზოგადოებას მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია აკადემიაში მიმდინარე პროცესების შესახებ
შედეგი	<i>სასწავლო პროცესების მიმდინარეობა გადაღებულია და განთავსებულია სოციალურ ქსელში. (მაგ.ილია ნაკაჭიძის შუალედური გამოცდა: „ვინ ვიქნები 5 წლის შემდეგ“. აკადემიის სტუდენტების სემინარი თემაზე „ეტიკეტი და სოციალურ-კულტურული საკითხები“ აპრილის თვეში.)</i>

აქტივობა	44
შინაარსი	სასწავლებლის ვებ-გვერდის სრულყოფა (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	ნოემბერი - დეკემბერი (განახლება ყოველთვიურად)
მონიტორინგი	საიტზე შეყვანილია სრული ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ, ცალკეული ფაკულტეტებისა და პერსონალის ინფორმაცია, ინფორმაცია პროექტების შესახებ. ქართულ-ინგლისურ ენაზე.
შედეგი	<i>აკადემიის ვებ-გვერდზე სრული ინფორმაცია სასწავლებლის, ფაკულტეტებისა და პერსონალის შესახებ განთავსებულია ქართულ-ინგლისურ ენებზე.</i>

აქტივობა	45
შინაარსი	სასწავლებლის საგანმანათლებლო/სამოტივაციო/ბიზნეს ბლოგის შექმნა
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	დეკემბერი
მონიტორინგი	არსებობს საინფორმაციო/სამოტივაციო საგანმანათლებლო ბლოგი, ყოველდღიურად განახლებადი მასალებით.
შედეგი	<i>აღნიშნული ბლოგი არ შექმნილა</i>

აქტივობა	46
----------	----

შინაარსი	ვიდეო-ლექციების მომზადება და საიტის პორტალზე განთავსება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	ნოემბერი - იანვარი
მონიტორინგი	მომზადებულია პორტალზე განთავსებისთვის ვიდეო-ლექციები სხვადასხვა თემების მიხედვით. ვიდეო ლექციების განთავსება ხდება სოციალურ ქსელშიც.
შედეგი	<i>აღნიშნული ღონისძიება არ განხორციელებულა</i>

აქტივობა	47
შინაარსი	ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრის-BCC-ის საქმიანობის გაფართოება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	ყოველთვიურად
მონიტორინგი	სტუდენტთა ჩართულობის შედეგად ფუნქციონირებს საკონსულტაციო ორგანიზაცია; კვლევებისა და ტრენინგების მიმართულება.
შედეგი	<i>აღნიშნული ღონისძიება არ განხორციელებულა</i>

აქტივობა	48
შინაარსი	საახალწლო კარნავალის ორგანიზება და ჩატარება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	დეკემბერი
მონიტორინგი	საახალწლო კარნავალი მოწყობილია, არსებობს ვიდეო და ფოტო მასალა.
შედეგი	<i>საახალწლო კარნავალი აკადემიაში ჩატარდა დეკემბრის თვეში.</i>

აქტივობა	49
შინაარსი	იმიტირებული გამოცდების ორგანიზება აბიტურიენტებისთვის
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, დირექტორი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, ენების სკოლა
სავარაუდო ვადა	თებერვალი
მონიტორინგი	გვაქვს წვდომა აბიტურიენტებთან, მათი საკონტაქტო ინფორმაცია. ინფორმაცია პროექტის შესახებ განთავსებულია საიტსა და სოციალურ ქსელში. ჩატარებულია გამოცდების იმიტაცია.
შედეგი	<i>მიმდინარე წლის თებერვალში და მარტში, აკადემიაში ჩატარდა იმიტირებული ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ინგლისურ ენაში.</i>

აქტივობა	50
შინაარსი	რა, სად, როდის? შიდა ჩემპიონატი

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, სტუდენტური თვითმმართველობა
სავარაუდო ვადა	აპრილი
მონიტორინგი	არსებობს ღონისძიების ფოტო-ვიდეო მასალა, ღონისძიების ფოტომასალა განთავსებულია ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში.
შედეგი	<i>ინტელექტუალური თამაში - რა, სად, როდის? შიდა ჩემპიონატი ჩატარდა, გამოვლინდა გამარჯვებული გუნდები</i>

აქტივობა	51
შინაარსი	ექსკურსია საქართველოს ბიზნესის აკადემიის სტუდენტებისთვის
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
სავარაუდო ვადა	აპრილი, მაისი
მონიტორინგი	ინფორმაცია მიწოდებულია სტუდენტებთან, არსებობს ღონისძიების ფოტო მასალა. განთავსებულია სოციალურ ქსელში.
შედეგი	<i>მიმდინარე წლის აპრილის თვეში აკადემიის სტუდენტებისთვის მოეწყო ექსკურსია შიდა ქართლში. ოქტომბრის თვეში აკადემიის სტუდენტებისთვის მოეწყო ექსკურსია კახეთში.</i>

აქტივობა	52
შინაარსი	2015-2016 წლის სამოქმედო გეგმის შედეგების განხილვა, ანალიზი და 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება
ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი	ხარისხის მართვის სამსახური, ადმინისტრაცია
სავარაუდო ვადა	2016 წლის სექტემბერი
მონიტორინგი	მომზადებულია შესაბამისი ანგარიშები, არსებობს სხდომის ოქმი, დამტკიცებულია 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმა. ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე
შედეგი	<i>შემუშავებულია 2016-2017 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა</i>